დემოკრატიული მოძრაობა
ერთიანი საქართველო

DEMOCRATIC MOVEMENT
UNITED GEORGIA

N3/478
30.09.2013

ჩავიბარე ი. ლომიძე
30.09.13.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის

სამეურვეო საბჭოს

მპგ „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს"

განცხადება

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, „მაუწყებელი უფლებამოსილია კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული, ამ მუხლით დადგენილი პირობების შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ 5 გამოკითხვის ან არჩევნებამდე 1 თვის განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 4 პროცენტის მხარდაჭერით. დაუშვებელია მაუწყებლის მიერ სოციოლოგიური კვლევის შედეგების დისკრიმინაციული გამოყენება".

2013 წლის 26 სექტემბერს „ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის" (NDI) მიერ გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, მპგ „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო"-მ გადალახა კანონით მოთხოვნილი ზღვარი.

ზემოთ ხსენებულ საფუძველზე, გთხოვთ, გამოიყენოთ კანონიერი უფლებამოსილება და ცნოთ მპგ „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო" კვალიფიციურ სუბიექტად და შესაბამისად, გამოუყოთ პრეზიდენტობის კანდიდატს ნინო ბურჯანაძეს თავისუფალი სარეკლამო დრო.

დარწმუნებული ვართ, თქვენი ეს გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს საქართველოში უფრო სამართლიანი საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებას.

პატივისცემით,

მთავარი საბჭოს წევრი — თამარ ცინცაბაძე

დემოკრატიული მოძრაობა - DEMOCRATIC MOVEMENT - UNITED GEORGIA
კანცელარია
CHANCELLERY

8 Abuladze str. 0162, Tbilisi, Geogia Tel.: (+995 32) 55 03 77; (+995 32) 55 03 88;
e-mail: mail@democrats.ge www.democrats.ge